



ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

დაბა ქედა

N 100
30/11/2018

100-04-4-201811301422



ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულება საავტომობილო გზებისა და სამელიორაციო სისტემების მართვის დეპარტამენტზე პირდაპირი განკარგვის წესით, ვადიანი, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემაზე ქედის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 122-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, მე-4, მე-5 და მე-6 პუნქტებისა და „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის №669 დადგენილებით დამტკიცებული 21-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 22-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, მე-4 და მე-5 პუნქტების შესაბამისად, ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულომ **გ ა და წ ვ ვ ი ტ ა :**

1. მიეცეს თანხმობა ქედის მუნიციპალიტეტის მერს (ლევან გორგილაძე) თანდართული დანართი №1-ის შესაბამისად ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, უძრავი ქონების 17 (ჩვიდმეტი) ერთეული სარწყავი წყლის არხის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულება საავტომობილო გზებისა და სამელიორაციო სისტემების მართვის დეპარტამენტზე პირდაპირი განკარგვის წესით, ხუთი წლის ვადით უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემაზე.
2. დანართი №1 წარმოადგენს განკარგულების განუყოფელ ნაწილს.
3. მიღებული განკარგულების შესახებ ეცნობოს ქედის მუნიციპალიტეტის მერს.
4. განკარგულების დაინტერესებული მხარეთათვის კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობა უზრუნველყოს ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსმა - მუხრან სალაძემ.
5. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული მხარეების მიერ კანონმდებლობით დადგენილი წესით მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ქ. ბათუმი ფრიდონ ხალვაშის გამზირი №358).
6. განკარგულება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

თურმანიძე შუქრი

საკრებულოს თავმჯდომარე

ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული
სარწყავი წყლით მომარაგების ხაზოვანი ნაგებობების
მონაცემები

№	ქონების დასახელება	სარწყავი არხების მისამართი, დაფარვის ზონა	სარწყავი არხების გრძივი მეტრი	საკადასტრო კოდი	შენიშვნა
1	2	3	4	5	6
1	სარწყავი არხი	ქედა, პირველი მაისი (სალორეთის უბანი)	1640,37	21.00.546	
2	სარწყავი არხი	ქედა, სოფელი არსენაული	883,4	21.00.545	
3	სარწყავი არხი	ქედა, სოფელი ორცვა (შუა უბანი)	1825,07	21.00.543	
4	სარწყავი არხი	ქედა, სოფელი მერისი (ორთამელას უბანი)	223,07	21.00.541	
5	სარწყავი არხი	ქედა, სოფელი მერისი (კაპარტყეს უბანი)	3952,12	21.00.144	
6	სარწყავი არხი	ქედა, სოფელი სიხალიძეები (დიასამიძეების უბანი)	1098,48	21.00.550	
7	სარწყავი არხი	ქედა, სოფელი მერისი (ხავარწილას უბანი)	736,20	21.00.544	
8	სარწყავი არხი	ქედა, სოფელი მერისი (საყავრიას უბანი)	1441,43	21.00.548	
9	სარწყავი არხი	ქედა, სოფელი მერისი	403,95	21.00.146	
10	სარწყავი არხი	ქედა, სოფელი მერისი	295,87	21.00.538	
11	სარწყავი არხი	ქედა, სოფელი ზვარე (სასროლისის უბანი)	2729,81	21.00.549	
12	სარწყავი არხი	ქედა, სოფელი კანტაური	1465,62	21.00.145	
13	სარწყავი არხი	ქედა, სოფელი წონიარისი (ბასილაური - ჯაიშელას უბანი)	2038,79	21.00.540	
14	სარწყავი არხი	ქედა, სოფელი ახო	1050,07	21.00.130	
15	სარწყავი არხი	ქედა, სოფელი გეგელიძეები (ქედა გეგელიძეების უბანი)	1165,34	21.00.542	
16	სარწყავი არხი	ქედა, სოფელი გეგელიძეები	2760,63	21.00.539	
17	სარწყავი არხი	ქედა, სოფელი კვაშტა (სირაბიძეები)	1712,00	21.00.547	
ჯამი			23710,22		